ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 378

ქალაქი ქუთაისი 30 ივლისი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 24 ივლისის №44-442520585 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606), პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წინამდებარე განკარგულების დანართში ჩამოთვლილი უძრავი ქონების (წერტილები გარე განათების კონსტრუქციებზე) 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსა" და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2022 წლის 28 იანვარს გაფორმებული №2000102722 ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (29.07.2022 წელი, №005112422) შესაბამისად, რომელიც შეადგენს 25 920.00 (ოცდახუთიათას ცხრაასოცი) ლარს.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. №-242
31-07-2025 წ.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომმა“ (საიდენტიფიკაციო კოდის №204876606) სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება (გარე განათების კონსტრუქციაზე 18 (თვრამეტი) ერთეული წერტილი) გამოიყენოს მიკრო სადგურების განთავსებისათვის, უსაფრთხოების ნორმების და ტექნიკური ექსპლოატაციის წესების სრული დაცვით. სამუშაოების შესრულების შემდგომ უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების წარმოება.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის
№ 378 განკარგულების დანართი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაგთიკომისათვის“
(საიდენტიფიკაციო კოდის №204876606) პირდაპირი განკარგვის წესით
(სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადასაცემი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონების ჩამონათვალი

№	მისამართი	ხაზოვანი ნაგებობის საკადასტრო კოდი	x/y კოორდინატები
1.	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №25	03.00.017	42.262135 42.655446
2.	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №24	03.00.039	42.261431 42.701198
3.	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №99	03.00.039	42.261604 42.682396
4.	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №9	03.00.089	42.261128 42.645007
5.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №30	03.00.073	42.252723 42.681038
6.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №49	03.00.074	42.253976 42.677716
7.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №52	03.00.073	42.256945 42.673326
8.	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №58	03.00.073	42.257665 42.671648
9.	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №22	03.00.072	42.261877 42.674109
10.	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №34	03.00.072	42.260461 42.671727
11.	ქალაქი ქუთაისი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №35	03.00.076	42.267638 42.695880
12.	ქალაქი ქუთაისი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა №6	03.00.018	42.268463 42.699289
13.	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №20	03.00.086	42.239144 42.692087
14.	ქალაქი ქუთაისი, შანიძის აღმართი №2	03.00.056	42.261939 42.707646
15.	ქალაქი ქუთაისი, ჟიული შარტავას ქუჩა №2	03.00.043	42.262385 42.671180
16.	ქალაქი ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქუჩა №3	03.00.056	42.269564 42.704705
17.	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №71ა	03.00.050	42.235579 42.66030
18.	ქალაქი ქუთაისი, ვარლამიშვილის ქუჩა №43	03.00.011	42.273994 42.707344
	სულ		18 (თვრამეტი) ერთეული გარე განათების კონსტრუქცია

საკრებულოს თავმჯდომარე — ირაკლი შენგელია